09/03/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩი მიიღო

ა.წ. 8 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩს ისა ალბაშა ალნოამისა და მის თანმხლები პირებს შეხვდა.

ბ-ნმა ელჩმა მის უწმინდესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვით.

შემდეგ საუბარი შეეხო საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შორის არსებულ დამოკიდებულებებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმარს წარმატებული მოღვაწეობა უსურვა და ურთიერთობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.